№ 230

სამშაბათი, 23 ოქტომბერი, 1901 წ.

1877–1901

# ივერია

№ 230

სამშაბათი, 23 ოქტომბერი, 1901 წ.


ტფილისი


გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12. . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11. . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10. . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9. . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8. . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7. . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.



## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 25 ოქტომბერს 1901 წ.

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ
კ. დ. ყიფიანის მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება

I

## ვენეციელი ვაჭარი

დრამ. 5 მოქმედებად შექსპირისა თარგ. დ. ყიფიანისა.

მონაწილეობენ ქალბატონნი: ლეჟავა, მდივანი, გივიშვილისა; ბატონნი: ..უნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ..ვდოშვილი, იმედაშვილი, ურუშაძე, მირიანაშვილი და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი ვ. აბაშიძე

შემდეგი წარმოდგენა იქნება შათირიშვილის ბენეფისი; მზადდება ახალი პიესა „ოქროს ევა“, კომ. 3 მოქ; „მსხვერპლისთვის მსხვერპლი“ დრ. 3 მოქ.

(3—6.—1)

## კბილის ექიმი

ალ. გ. ხოლოდაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9 საათიდგან 2-დე და საღამოთი 5—7-დე.

კვირა-უქმობით 1 საათამდე.

მიხეილის ქუჩა, № 32.

(5—უ.—1)

## მკურნალი
## მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

**მიხეილ გედევანიშვილისა.**

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ..აგიაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვების და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

**ს. გ. ფედოროვი.** შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

**გ. გ. მაღალაშვილი.**—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

**ნ. ა. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

**ა. მ. შატილოვი**—თვალის, 10—11 საათ.

**ექიმი-ქალი მ. ს. ბაქრაძე** ბავშვებისა—11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**ა. გ. ბარსუკოვი** — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

**ს. ა. ვოინო**—ხირურგიული (სადოსტაქრო) ხუთშაბათობითა და შაბათობით—1—2 საათ.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი.** სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

**კვირაობით:**

**გ. გ. მაღალაშვილი**—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**გ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.** დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. .. აპეტიანცი.** 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეკოვი.** 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

**გ. ა. თარხანოვი.** შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

**გ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნლოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.**

**Тифлисъ, противъ памят. Воронцову.**

## ქართველთა ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში და სახელოსნო სკოლაში იღებენ ყოველგვარ **საკერავს**: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას დ საცვლებზედ ამოჰკერავენ ნიშნებს (МѢТКИ). ბარონის ქუჩა, № 12.

(10—უ—9)


## ახალი ამბავი

—

*** ქალაქის საბჭოს დღევანდელს სხდომაზედ, სხვათა შორის, დანიშნულია არჩევანი ქალაქის გამგეობის მეოთხე წევრისა, რომლის კანდიდატადაც ასახელებენ ქალაქის საბჭოს მდივანს ბ-ნს ჭრელაშვილს, ქალაქის ინჟენერს ენფიანჯიანცსა და სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორს ბ-ნს სტეფანოვს.

*** როგორც მოსკოვიდგან გვატყობინებენ, ადგილობრივის ქართულ საღამოს გამმართველად

# ფელეტონი

—

## მაგარი სასმელების მოქმედება ადამიანის სხეულზედ.

—

დღეს მთელს დედა-მიწის ზურგზედ არ არის ისეთი ხალხი, რომელმაც ღვინისა, არყისა, ლუდისა და სხვა ამ გვარ მაგარი სასმელების მომზადება არ იცოდეს, რომელთა უმთავრესს ნაწილებსაც სპირტი შეადგენს.

ძველს ეგვიპტეში იცოდნენ ისეთი ღვინის მომზადება, რომელიც თითქმის არაფრით ჩამოჰრჩებოდა ეხლანდელს მომზადებას; ჰქონდათ ღვინის ქვევრები და ყურძნის დასაწური ჰახრაკები. ძველს ეგვიპტეშივე იცოდნენ ლუდის მომზადება ქერისაგან. ჩინელები უძველეს დროიდგანვე სპირტის სასმელს ბრინჯისაგან ამზადებდნენ; მექსიკაში-კი „ალოეს“ ხის რძიდგან. არყის მომზადება აზიაში უფრო ადრე იცოდნენ, ვიდრე ევროპაში, სადაც მხოლოდ საშუალო საუკუნოებში დაიწყეს სასმელების მზადება; თბილს ქვეყნებში-კი უფრო მეტს ხმარებაში იყო ღვინო.

ძველად, როდესაც ჯერ სპირტიანი სასმელყბის მავნებლობისა არა იცოდნენ-რა, უზომოდ ბევრს სვამდნენ. ძველის ბერძნებს აზრით ღვინო ღვთისგან ბოძებული სასმელი იყო, რომლითაც ადამიანს შეეძლო გულიდგან დარდი გადაეყარა და მხიარულებას მისცემოდა; სხვა ღმერთთა შორის მათ ისეთი ღმერთიცა ჰყავდათ, რომელიც ლოთობას ჰფარველობდა; აქედგან ლოთობას რელიგიურს ხასიათს აძლევდნენ.

მაგრამ ძველს დროშივე იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც ესმოდათ ამ გვარი სასმელების ვნება და ყოველს ღონისძიებას ხმარობდნენ, რომ როგორმე შეემცირებინათ სმა; ხალხზედ რომ უფრო მეტად ემოქმედნათ, ზოგიერთმა მათგანმა ღვინო და საზოგადოდ სპირტიანი სასმელების ხმარება ცოდოთ აღიარა.

ბუდდას სარწმუნოებაში, ათ მცნებათა შორის, რომლებიც უთუოდ უნდა აასრულოს ახლად მორწმუნემ, არის ისეთიც, რომელიც ღვინის სმას უკრძალავს. მაჰმადის რჯულიც სრულებით უკრძალავს ღვინის სმას. ამ გვარი სასმელების ხმარება ძველს მექსიკაშიაც აკრძალული იყო და მხოლოდ მოხუცებულებს შეეძლოთ სმა; მექსიკელები სპირტის სასმელს „მოხუცის რძეს“ ეძახდნენ.

შემოვიდა თუ არა არყის მომზადება ევროპაში, მაშინათვე გასაოცარის სიჩქარით მოედო სმა. თუ რამდენად მოსწონდათ არყის გემო, თვით ამ სასმელის ლათინური და ფრანგული სახელი ჰმოწმობს ამასა: aqua vitae, l'eau-de-vie, ესე იგი სიცოცხლის წყალი.

მაგრამ განსაკუთრებით ჩვენს დროში იმატა შესამჩნევად სპირტის სხვა-დ-სხვა სასმელის ხმარებამ. Martius-ის სიტყვით, დღეს ყოველი გერმანელი ლოთია; რუსის პროფესორმა იანჟულმა ერთს გერმანულს გაზეთში შემდეგი ამოიკითხა: „რუსი,—სწერს თურმე ეს გაზეთი,—160 დღე ლოთობს და 160 დღეც „პოხმელიასა“ შვრება, ე. ი. ფხიზლდება. ინგლისში ლოთობენ ყველანი, წოდების განურჩევლად. ლოთობენ დიდი ლორდების ცოლებიც-კი. ხშირად შეჰხვდება თურმე ადამიანი, რომ რომელისამე ლორდის ცოლს ლამაზი შუშით ჯიბეში მაგარი კონიაკი დააქვს თან; ზოგიერთი თურმე თეატრშიაც კი ვერა სძლებს უსპირტოთა და თან ისეთი კონფეტები მიაქვს, რომლებშიაც მაგარი სასმელებია ჩასხმული.

საფრანგეთში, განსაკუთრებით ნორმანდიაში, ისეა თურმე გავრცელებული ლოთობა, რომ არამც-თუ მამა-კაცები, თვით დედა-კაცები და გასათხოვარი ქალებიც-კი თურმე ჰსმენ. კვირა დღეს მთელი ოჯახი მთვრალი თურმეა.

1892 წ. გერმანიაში ორ მილიარდ მარკაზედ მეტი დახარჯულა სპირტის სასმელებზედ. ამერიკაშიაც გასაოცრად გავრცელდა ლოთობა.

მიზეზი სპირტის სასმელის ამ გვარი გავრცელებისა, ეჭვი არ არის, უნდა ვეძიოთ დღევანდელ ცხოვრების გარემოებაში, რომელიც თან-დ-თან მეტს გონებრივს მუშაობასა დ ნერვების ენერგიასა თხოულობს. ნერვებს-კი იმდენი ძალა არ აქვთ, რომ ასეთს დიდს მოთხოვნილებას აუვიდენ და აი, ამიტომაც ადამიანი იძულებულია მიჰმართოს ისეთს ნივთიერებას, რომელიც მხურვალებასა ჰმატებს ნერვებსა. ამ გვარი ნივთიერებაა სპირტი, თამბაქო და სხვანი. მაშ რამდენად გამოცვლილა ცხოვრების გარემოება და რამდენად დასუსტებულა ადამიანის სულიერი მხარე, რომ იგი შესაფერს ენერგიას ველარა ჰპოებს, აქედგან შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ. სხვა-და-სხვა მაგარს სასმელში სპირტის რაოდენობა სხვა-და-სხვაა:

ღვინოში 10%—15%, ლუდში 3%—5%, არაყში 40%—70%. როგორცა ჰხედავთ, ყველაზედ მეტი სპირტი არაყშია და ამიტომაც ადამიანი ყველაზედ მალე არყით ითრობა.

ინგლისელებმა ავსტრალიისა და ტასმანიის ველური ხალხი არყით ამოჟლიტეს, რადგანაც ყველას ჯილდოთ არაყს უნიშნავდნენ. ისტორიავე გადმოგვცემს, რომ მრავალი ველური ხალხი არყის წყალობით ამოწყვეტილა.

ახლა ფიზიოლოგიურადაც გავარჩიოთ სპირტი და ვნახოთ, რაიმე სარგებლობას წარმოადგენს იგი ჩვენის სხეულისათვის, თუ მხოლოდ ვნება მოაქვს.

სპირტი, როგორც ფიზიოლოგია გვეუბნება, ჩვენს სხეულში იწვის და იშლება წყლად და ნახშირის სიმჟავედ და ამ დაშლის დროს თავისუფლდება ჩვენის სხეულის სასარგებლოდ ძალა, რომელიც ერთის მხრივ სხეულს უმატებს სითბოს, მეორე მხრივ ენერგიას.

მაგრამ ამ გვარი მოქმედება სპირტისა ჯერ ერთი ძლიერ ხანმოკლეა, მეორეც, ამ მოქმედების გამოსაწვევად იმდენი სპირტია საჭირო, რომ ადამიანის სხეულის უჯრედები სრულიად იწამლება და ბოლოს ვნება

ანტ. ჩეხოვის მაგივრად ამ წელს კომპოზიტორი იპოლიტოვ-ივანოვი თურმე იქმნება, რომელსაც ჩვენი ქართველი საზოგადოება კარგად იცნობს, როგორც ქართული საგალობლების ნოტებზედ გადამღებს.

*** ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის შენობის აღმაშენებელ კომიტეტისათვის თავ. კ. ი. მუხრან ბატონს, იმ 20,000 მან. გარდა, რომელიც ამას წინად ასესხა, როგორც შევიტყვეთ, კიდევ უსესხებია 15,000 მ., რომლიდგანაც კომიტეტმა 8000 მანეთი უკვე მიიღო.

*** რადგანაც ქალაქისა და პირველ-დასაწყის სკოლების მასწავლებელ ქალთა და კაცთა წარსულის წლების საპედაგოგო კრებებმა ჯეროვანი ნაყოფი გამოიღო, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს 19 ოქტომბრის კრებაზედ წინადადება შეუტანია აირჩიონ სამგებო კომისსია დედათა პირველ გიმნაზიის დირექტორის თავმჯდომარეობითა და მიანდონ—რა რიგად უნდა მოეწყოს აღნიშნულს კრებებზედ საპედაგოგო საგნების განხილვა. განზრახვა აქვთ, ამიერიდგან აღნიშნული კრებები თვეში ორჯელ მოახდინონ ხოლმე.

*** საფაბრიკო-საქარხნო ინსპექციის მეთვალყურეობა ტფილისისა, ქუთაისისა და შავის ზღვის პირის გუბერნიებში 1902 წლის 1-ლ იანვრიდგან იქმნება შემოღებული.

*** „მთავრობის კანონდებათა კრებულში“ დაბეჭდილია წესები იმის შესახებ, თუ ხალხს როგორ უნდა უკითხონ ადვილად გასაგები ლექციები მეურნეობისა, გიგიენისა, ბეითალობისა და საქონლის მოშენების შესახებ. აღნიშნულ სახალხო კითხვების გამართვის უფლება გუბერნატორის ნებართვით სოფლებსა და ქალაქებში, აგრეთვე ფაბრიკებსა და ქარხნებში, ეძლევა კერძო კაცებსა, საზოგადოებათა და საზოგადო დაწესებულებათ. კითხვა შეუძლიანთ მკურნალებსა და ბეითალებს, რომლებიც სახელმწიფო ანუ საზოგადო სამსახურში ითვლებიან, იმ რიგად, როგორც ეს სამკურნალო და საბეითალო ინსპექციის მიერ იქმნება მოწონებული.

*** საშუალო საკომერციო სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულთ უფლება ეძლევათ მოსკოვის საagrონომო ინსტიტუტში შესვლისა.

*** შინაგან საქმეთა სამინისტროს ლაპარაკი აღუძრავს, რომ კავკასიის ნემცების ახალშენები სამიწათ-მოქმედო სამინისტროს ჩამოერთვას და მას გარდაეცეს.

*** 1902 წ. იანვარში მოსკოვში სასოფლო-სამეურნეო განათლების მოღვაწეთა კრება იქმნება მოწვეული.

*** როგორც „Нов. Обзор.“ სწერს, ვაჟების პირველ გიმნაზიის დირექტორი ბ-ნი მარკოვი სამსახურს თურმე თავს ანებებს.

*** 20 ოქტომბრის სხდომაზედ კავკასიის მეღვინე-მევენახეებმა განიხილეს ბ-ნის ვერმიშევის მოხსენება იმის შესახებ, თუ რანაირად უნდა მოეწყოს ჩვენში წვრილი შემნახველ-გამსესხებელი კასები და პატარ-პატარა საკრედიტო ამხანაგობანი, რომლებიც თავისს წევრებს დიდს დახმარებას გაუწევენ დროზედ მამულის გასაუმჯობესებლად სესხის მიწოდებით. კრებამ, თანხმად მომხსენებლის წინადადებისა, დაადგინა: აღსძრან შუამდგომლობა უმაღლესს მთავრობასთან, რომ სახელმწიფო ბანკის ყველა განყოფილებამ, წესდების მე-146 მუხ. ძალით, ძირითადი თანხის შესადგენად სესხი აძლიოს საკრედიტო ამხანაგობებს და შემნახველ-გამსესხებელ კასებს. ამ გვარ ამხანაგობათა და კასების საჭიროების შესახებ ცნობები გავრცელდეს ხალხში შეგნებულ კაცებისა, სოფლის მასწავლებლებისა და მღვდლების დახმარებით: სთხოვონ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას დააარსოს მუდმივი კომიტეტი, რომელიც ეცდება ხალხში ასეთი კასები და ამხანაგობანი დააარსოს და სხ. ამავე სხდომაზედ აღიძრა ლაპარაკი იმის შესახებ, თუ წვრილი კრედიტის მისაღებად რა საშუალებანი უნდა იქმნეს მიღებული და სხ. კრებამ გარდასწყვიტა მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრან, რომ კავკასიაში განსაკუთრებული კომიტეტი იქმნეს დაარსებული, რომელმაც წვრილი სესხის მიღების საქმე უნდა გააადვილოს.

*** ორბელიანის ქუჩაზედ, პოლიციის მესამე ნაწილში, ბუქყიაშვილის სახლში მოთავსებული პუშკინის სახელობის ქალაქის მეორე სკოლის სადგომი გუშინ, 22 ოქტომბერს, აკურთხეს. კურთხევას დაესწრნენ ქალაქის გამგეობისა და საბჭოს წარმომადგენელნი და მრავალი ხალხი.

*** კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენა ტფილისის დედათა საეპარქიო სკოლის მოწაფეებმა გუშინ, 22 ოქტომბერს, დაათვალიერეს.

*** კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში დღეს საღამოს დაიწყება კავკასიის მიწის-მომქმედთა კრებები. კრება, რომელსაც 10-მდე ფრიად საყურადღებო საქმე აქვს დანიშნული განსახილველად, რამდენიმე დღე გაგრძელდება. ამ რიგად მიწად-მომქმედთა კრებით თავდება წელს სამეურნეო კრებები. ყველა მათ მიერ გამორკვეული საგანი ოქმებთან ერთად სამეურნეო საზოგადოების საბჭოს წარედგინება, რომელმაც თავისს მხრივ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს უნდა გაუგზავნოს.

*** პოლიციის მე-9 ნაწილში, თუმანოვის ქუჩაზე, 19 ოქტომბერს, სტ სოვეტ. ივანოვის ბინის შესავალთან, გოგოლაძის სახლის წინ პოლიციელს მიგდებული ბავშვი უნახავს მამრობითის სქესისა, რომელიც ოლგას საბებიო ინსტიტუტში იქმნა გაგზავნილი.

## თეატრის მატიანე

—

გუშინ-წინ, კვირას, 21 ოქტომბერს, ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა სამ-მოქმედებიანი მეტად მხიარული და სასაცილო კომედია ბალუცკისა „უცოლოთა კლუბი“ და გ. ერისთავის „ძუნწი“. პირველი პიესა უფრო ვოდევილის ხასიათისაა და სიამოვნებითაც ისმენს საზოგადოება, მაგრამ არა გვგონია, ამ პიესამ დიდხანს დაიჭიროს თავი. ამისთანა პიესების დადგმა მხოლოდ ხილად, გასართობად შეიძლება სეზონში ორჯელ, ან სამჯერ. ჩვენმა არტისტებმა პიესა კარგად და მხიარულად ჩაატარეს. ამ პიესის შემდეგ წარმოადგინეს დახავსებული „ძუნწი“, რომელშიაც ისეთის ხელოვნებით თამაშობს თვით ძუნწის როლს ბ-ნი ვ. აბაშიძე.

წარმოდგენას მდაბიო ხალხი ბევრი დაესწრო, არა მდაბიო-კი ამ დღეს ალბად ოპერითა და ცირკით თუ ირთობდა თავს. დიდიხანია დაშორდნენ ესენი ყოველსავე ქართულს და ვგონებ პირს უკან აღარა მოაბრუნებინებს.

## დაბა-სოფელი

—

**დუშეთი.** ეს მეორე წელიწადია აქ სამრევლო-საეკლესიო ქალთა სასწავლებელი არსებობს. მოწაფეთა რიცხვი ყოველ-წლივ მატულობს. ამ ჟამად სამოცამდე შეგირდი დაიარება სკოლაში. მასწავლებელ ქალთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ მცირე ხნის განმავლობაში ბავშვებმა შეგნებით შეისწავლეს ქართულ-რუსული ენა და ზედ-მიწევნით კიდევ საეკკლესიო გალობა, ასე რომ მალე უთუოდ მგალობელთა გუნდიც გვეყოლება ეკკლესიაში. სასწავლებელში ასწავლიან აგრეთვე ქარგვასა და მასწავლებელი ქალი ქ-ნი საჯაგლიშვ... სა დიდს სიკეთეს დასთესავდა, წელიწადში ერთხელ მოწაფეთა... ლოვნების გამოფენის გამარ... შემოიღებს: ეხლანდელი ჩვენი ... რიშნები“ ლოტოს თამაშში და... ტკეცილზედ სიარულში ირთო... თავსა; მომავალი ჩვენი დედებ... უქმად არ დაჰკარგამენ დროს, ... განაც საქმის გაკეთებაში აღზრ... ლან, საქმე ექმნებათ გასაკეთე... ლი, ან არა და საქმეს გაიჩენენ.

როგორც გავიგე, ჩვენის მოზ... თაობის აღმზრდელს მასწავლებლ... განძრახვა თურმე აქვთ სასწავ... ბელთან სამკითხველო დააარს... ღმერთმა ხელი მოუმართოთ ამ ... სიქადულო მისწრაფების განსახ... ციელებლად.

სიტყვამ მოიტანა და, ვგონ... წასაწყმედ ცოდვათ არ ჩამომა... მევენ, თუ ამ სასწავლებლის ... ზრუნველოს თავისს გულგრი... ბას დავანახვებთ: თუ რომ სხვა... ბალ სასწავლებლების მასწავლებ... თა ნივთიერი მდგომარეობა ს... ლალოა, არც ჩვენი მასწავლებ... ბი არიან სანატრელს მდგომარ... ბაში: იმას ვინ სჩივის, რომ მ... ჯამაგირი აქვთ და რიგიანი ... შესაფარი არა აბადიათ; ხან-და... მთელს ზამთარს ცივს ოთახში ... რებენ. აი, ეხლაც ქ. დუშეთში ... ვე ზამთარი მძვინვარებს და, ... არა ვცდები, ერთხელ ან ორჯ... თუ ამოსულა ბოლი ბუხრიდამ, ... ტი არა. ნეტავ, საეკკლესიო ... ზრუნველო ამაზედ რას იტყვის?

19 ოქტ. 1901 წ.

ქ. დუშეთი.

დუშელი ვან...

## უცხოეთი

—

**ინგლისი.** ედინბურგში ამას წინად ჩემბერლენმა სიტყვა წარმოთქვა, რომლითაც მთავრობის ...

---

უფრო მოაქვს, ვიდრე სარგებლობა.

ფიზიოლოგოსის Maleschott-ის აზრით, სპირტი ნახშირის სიმჟავის ამოსუნთქვას ამცირებს, რაიცა ადამიანის სხეულის უჯრედების ნაკლებს მუშაობას უნდა ჰმოწმობდეს; მაშასადამე, ამ მეცნიერის აზრით, როცა ადამიანი მაგარს სასმელსა ჰსვამს, მისის გვამის ნაწილებს ნაკლები ხარჯი აქვს, მუშაობის დროს ძალღონის მოსაკრებად დიდად სასარგებლოა. Uoit-ი სპირტს იმ გვარ ნივთიერებათა სთვლის, რომლის წყალობითაც ჩვენის გვამის უმთავრესი შემადგენელი ნივთიერება ცოტა მეტად იზოგება. აღნიშნულ მეცნიერთა აზრით, სპირტს ისეთივე მნიშვნელობა აქვს ადამიანის გვამისათვის, როგორც სახამებელს, შაქარსა და ქონს. რამდენადაც მეტს მუშაობაშია ადამიანი, იმდენად მეტად მატულობს აზოტის რაოდენობა შარდში. მეცნიერმა Binz-მა-კი ის აზრი გამოსთქვა, რომ, როდესაც ადამიანი მაგარს სასმელს ჰსვამს, აზოტის რაოდენობა კლებულობს შარდშიო; ამიტომ სპირტი მასაზრდოებელ ნივთიერებად უნდა ჩავთვალოთო. მაგრამ როგორც ამ ბოლო დროის გამოკვლევებიდგანა სჩანს, ეს აზრი უსაფუძვლოა.

Miur-მა თვით თავისს თავზედა სცადა და დარწმუნდა, რომ აზოტის რაოდენობამ არამცთუ იკლო შარდში მაგარი სასმელის მიღების დროს, არამედ შესამჩნევად იმატა, ხოლო ხელ მეორედ იკლო, როცა სპირტს თავი დაანება. 18?9 წ. Romeyn-ი რამდენისამე დღის მშიერს ცხოველებს ასმევდა საცდელად მაგარს სასმელებს, და არამც თუ იკლო სხეულიდგან გამონავალ აზოტის რაოდენობამ, უფრო იმატა. აქედგან მეცნიერმა ის დაასკვნა, რომ სპირტს არავითარი მასაზრდოვებელი თვისება არა ჰქონია.

მართლაც-და სხეულს სჭირია ისეთი საზრდო, რომელიც მუშაობის ენერგიასა და სითბოს აძლევდეს და მასთან შეეძლოს მისცეს სხეულის უჯრედებს შესაფერი მასალა განახლებისა. ყოველი ორგანიზმი იზრდება მხოლოდ საჭმლის წყალობით და გაზრდილიც საჭმლის წყალობითვე განაახლებს სხვა-და-სხვა ქსელის უჯრედებს, რომლებსაც სიცოცხლისა და მოქმედების დროს განუწყვეტლივ აკლდებათ ძალა, ილევიან. როდესაც დაღალული და მუშაობისაგან ძალა-მილეული ჰსვამს ღვინოს ან სხვა ამ გვარს მაგარს სასმელს, იგი თითქოს მაშინვე ჰგრძნობს გამხნევებასა და ძალას ავიწყდება დაღალულობა, სიმხიარულე ემატება, მაჯა უფრო მაგრად უწყებს ცემასა, სისხლის მოძრაობა და სითბო ემატება. მაგრამ ამ გვარი აღორძინება მხოლოდ ხელოვნური და სწრაფ-წარმავალია, სრულებით არ არის დამყარებული უჯრედების განახლებაზედ, გამოწვეულთა სპირტის გავლენით ნერვების მხურვალობაზედ. აი, ამიტომაცაა, რომ ამ გვარს აღორძინებას მალე სხეულის სრული მიდუნება მოჰყვება ხოლმე; მსმელი იძულებულია კვალად გაიმეოროს სპირტის მიღება. ამ ნაირად სმის დროს-კი უჯრედები ნელ-ნელა იწამლება და გვამი ნაყოფიერს საჭმელს ჰსაჭიროებს; მაგრამ, მაგარიც ის არის, რომ უფრო ხშირად სპირტეულობას ეტანება ის, ვინც რიგიანს საჭმელს მოკლებულია და ამ რიგად სპირტის წყალობითა სცდილობს მოიმატოს ძალა მუშაობისა. ამისთანასათვის სპირტი იგივე მათრახია, რომელიც მშიერს ცხენს მიერეკება, მაგრამ ბოლოს ველარა ჰმოქმედობს და ცხენი ჩერდება.

ღვინისა და სხვა ამ გვარი სასმელის უზომოდ ბევრის მსმელს რამდენისამე ხნის შემდეგ დიდი ცვლილება ეტყობა; ტვინის მუშაობა უსუსტდება, გული უგანიერდება და ეკრობა ქონი; ძარღვები ჰკარგვენ სირბილეს, კუჭი, ჯიგარი, თირკმელები სნეულდებიან და ეცლებათ მუშაობის ძალა. ცვლილება ეტყობა აგრეთვე სასულესა და ფილტვებსაც.

ასეთი კაცი ჰგრძნობს სისუსტეს, გულის ფრიალს, მუდამ სული ეხუთება, ტვინის სიმძიმე აქვს, ძლიერ ხშირად წყალ-მანკით ხდება ავად და გულის სისუსტითა კვდება.

Jn vino veritas-ო, იტყოდნენ ხოლმე ძველი რომაელები და მართალიც არის: ის, რაც სათქმელი არ არის, და რის თქმასაც ფხიზელი ვერა ჰბედავს, ღვინო ადვილად ათქმევინებს ხოლმე კაცსა.

საზოგადოდ, მაგარი სასმელის ხან-გრძლივი ხმარება ისე ძლიერად ასუსტებს გვამს, რომ ჰკარგავს თავისს ბუნებრივს ძალას ებრძოლოს სხვა-და-სხვა გვარ სენის მომწამლავს ძალას. ასე, მაგალითად, ლოთი უფრო ხშირად ხდება ავად ჭლექით და სხ. Barbier-ის გამოკვლევით ასს ჭლექიანში 88 უზომოდ მსმელი აღმოჩნდა.

მე-XIX საუკუნეში ჭლექით ავადმყოფთა რიცხვმა ძლიერ იმატა საფრანგეთში და ეს გარემოება, მეცნიერთა აზრით, სპირტის გავლენით უნდა აიხსნას. ცუდი გავლენა აქვს სპირტს აგრეთვე სა... ლზედა და ფილტვებზედ; ყვე... ვიცით, რომ ამ გვარი კაცი ძლ... ძნელად მოიხდის გადამდებს ს... როგორც Deleard-ის ცდი... სჩანს, იმ ცხოველს, რომე... მოწამლული იყო სპირტით, ... აუცრა თურმე ცოფისა და ციმბ... ჭირის წამალი, ხოლო იმათ... რომლებსაც სპირტით არ ჰქონ... მოწამლული სხეული, ძლიერ ... ვილად აუცრა. ამ გვარი მაგალ... ბევრია. მაგარი სასმელების ... ლენით ადამიანის სიცოცხლე ... მოკლე ხდება, სქესობრივი ნა... ფიერება სუსტდება.

დიდი მოქმედება აქვს ამ გვარს ... სმელებს ადამიანის სულიერს მხ... ზედაც: გამოიწვევს მრავალს სხვა-... სხვა გვარს სულიერს ავადმყოფო... და ამ გვარად შეიქმნება ხოლმე მ... ზი მთელის შთამომავლობის გა... გვარებისა. ფლემინგმა და დემო... აზრი გამოსთქვეს, რომ დედ-მა... რომლებიც უზომოდ ბევრსა... ენ, ღვინო იქნება ეს თუ არა... ან სხვა რამ ამგვარი სასმელი, ... ერთია, მომეტებულ ნაწილად ... ლები შეშლილები და ავაზაკები ... მოსდითო. ამათის აზრით, საკმ... მხოლოდ ერთხელ დათვრეს ... კაცი, მაგალითად, ქორწილის

ლით ღირს შესანიშნავი შეხედულება გამოაცხადა ირლანდიელების შესახებ. „გლადსტონის მიმდევრები ორ ბანაკად არიან გაყოფილი ტრანსვაალის ომისა და ირლანდიელთა მისწრაფების გამო. თუმცა ლიბერალთა დასი უკანასკნელს ხანებში უარზეა ირლანდიელებთან კავშირის შეკვრის შესახებ, მაგრამ მთავრობას მაინც არ შეუძლიან იმათი იმედით იყოს ობსტრუქციასა და უწესოებასთან საბრძოლველად, რომელსაც ხშირად ახდენენ ნაციონალისტები. მთავრობა საჭიროდ სთვლის ბოლო მოუღოს ირლანდიელთა თავგასულობას. ირლანდიელ ნაციონალისტთა დასის სათავეში ისეთი კაცი სდგას, რომელიც აშკარად თანაუგრძნობს ინგლისის მტრებს და ყოველთვის სიმხიარულეს ეძლევა ინგლისის ჯარის დამარცხების გამო. ობსტრუქციის მოსასპობლად მთავრობას განძრახვა აქვს მომავალის სესიის დროს ისეთი ცვლილება შეიტანოს პარლამენტის რეგლამენტში, რომელიც პალატის უმრავლესობას საშუალებას მისცემს ისეთის მოქმედების ასალაგმავად, რომელიც ინგლისის პარლამენტის ღირსებას ამცირებს.

ირლანდიელების შესახებ კიდევ ერთი სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საკითხი არსებობს, სახელდობრ ის, რომ პარლამენტში ირლანდიელებს უფრო მეტი ადგილი უჭირავთ, ვიდრე ინგლისელებს და შოტლანდიელებს; ამასაც ბოლო უნდა მოეღოს, მაგრამ ჯერ საერთო არჩევნები შორს არის და, როცა ის მოახლოვდება, ჯეროვანს წინადადებას მივცემთ ერსაო.“

— ირლანდიის ორი დეპუტატი გაუგზავნია ჩრდილოეთ-ამერიკაში ირლანდიისა და ბურებისათვის შემოწირულებათა მოსაკრეფად. მოკრეფილი ფული ინგლისის მთავრობასთან საბრძოლველად არის გადადებული.

**საფრანგეთი.** წარსულს პარასკევს მინისტრთა საბჭოს სხდომაზე საზოგადო სამუშაოთა მინისტრმა წარუდგინა კოლლეგებს მთა-მადნის მუშათათვის საპენსიო კასსის პროექტი. პროექტი განიხილა საბჭომ და ამ კვირია პალატას წარუდგენს.

**ავსტრია-უნგრეთი.** გერმანელების საერო დასი კერბერთან დეპუტატები გაუგზავნია იმის შესატყობად, თუ რას დაჰპირდა მინისტრ-პრეზიდენტი ჩეხებს იმის სამაგიეროდ, რომ ჩეხებმა უკან წაიღეს თავიანთი ინტერპელლიაცია. კერბერს უთქვამს, მე იმ გზას არ ვადგივარ, რომ დაუთმო რამე ან ერთს, ან მეორე დასაო.

— ერთის გაზეთის სიტყვით, კერბერმა დამზადებული თხოვნა წაიღო ბუდაპეშტში იმპერატორის სახელზე სამსახურიდამ დათხოვნის შესახებ, მაგრამ ბუდაპეშტში დეპეშა მიიღო რეიხსრატის პრეზიდენტისაგან, ბიუჯეტის კითხვა დაიწყოო, და ამიტომ თხოვნა აღარ მიუცია იმპერატორისთვის.

**ბელგია.** იმ მუშათა რიცხვი, რომელთაც ინგლისის გემებზედ მუშაობა აღკვეთეს, დღითი-დღე იზრდება. ამ დღეებში გემის დამტვირთავთა ფედერაციის (ამსტერდამში) პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი ბრიუსელში იყვნენ იქ მყოფ ბელგიელ მუშებთან მოსალაპარაკებლად, რომ მათაც აიკვეთინონ ინგლისის გემებზედ მუშაობა იმ დრომდე, ვიდრე ინგლისს-ტრანსვაალის ომი არ დამთავრდება. ამავე დროს სხვა დელეგაციები ამავე აზრით გაიგასა, გენუიასა, მარსელსა, ბრემენსა და ჰამბურგში იყვნენ ადგილობრივ მუშებთან მოსალაპარაკებლად. ყველგან მუშებმა თანაგრძნობა გამოუცხადეს ბურებს და პირობა დასდეს ბოიკოტი გაუწიონ ინგლისს. შესაძლებელია, რომ მუშებმა მართლაც აღკვეთონ მუშაობა ინგლისის წინააღმდეგ მთელს ევროპაში. ინგლისი მაშინ დიდს გაჭირვებაში ჩავარდება.

— ამ დღეებში ბრიუსელის სასახლეში კონფერენცია მოხდა, რომელიც მეფემ მოიწვია დამოუკიდებელ სახელმწიფოს კონგოს საქმეების გამო. ლაპარაკი ჰქონდათ უმთავრესად ახალის რკინის გზების გაყვანის შესახებ. ამ გზების გაყვანას ახალი ხარჯი მოჰყვება. დამოუკიდებელ სახელმწიფოს აზრადა აქვს ამიტომ აიღოს სესხი 15 მილიონი ფრანკი.

**გერმანია.** როგორც „Berl. Tag.“ სწერს, რუსეთ-ჩინეთის ახალ შეთანხმებას, რომელმაც ესე აალელვა ინგლისი, გერმანია შეუშფოთებლივ მიეგებაო. გერმანიის მთავრობამ განაცხადა, რომ გერმანიას მანჯურიაში არავითარი ინტერესები არა მაქვს და ამიტომ მანჯურიის საქმეების გამო ყოველთვის ნეიტრალიტეტის გზას ვედგებითო.

— გრუდზიონდზში „გაკატიზმის“ წარმომადგენელთა კრება მოხდა. ამ კრებაში მონაწილეობა მიიღეს იმ ადგილობრივ საზოგადოებათა წევრებმა, რომელნიც პრუსიის პოლონეთის განემეცებას სცდილობენ. ამ კრებამ სასკოლო საქმის განხილვის დროს შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: „კრება სავსებით იწონებს თავის წევრის პროფ. ცორნის აზრს, რომლითაც სწავლა უეჭველად ნემეცურს ენაზედ უნდა სწარმოებდეს. ამის გამო შუამდგომლობა უნდა იქმნას აღძრული მთავრობის წინაშე, რომ გადაათვალიეროს ის დებულებანი, რომელნიც შეეხება სწავლის საქმეს იმ ადგილებში, სადაც სრულიად სხვა ერები სცხოვრობენ“. შემდეგ კრებამ განიხილა უმაღლეს საადმინისტრაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც ნება დართულ იქმნა პოლონურ ენის ხმარება საჯარო ადგილებში. ამ საქმის გამო კრებამ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: „კრების აზრით, სახელმწიფოს ინტერესები თხოულობენ, რომ საზოგადოებრივ საქმებისგან ხილვა საჯარო ადგილებში ნემეცურ ენაზედ სწარმოებდეს ხოლმე. ამიტომ იგი სთხოვს მთავარ გამგეობას მიიღოს, პროფ. ცორნის აზრის შესაფერი ზომები“. შემდეგ კრება შეეხო პოლონურ პრესსას. აღნიშნეს, რომ ბევრი ნემეცი პოლონურ გაზეთს იწერავს და ამით აფერხებს პოლონელთა განემეცების საქმეს. გადასწყვიტეს ყოველი ღონე მიიღონ, რომ პოლონურ გაზეთებში პოლონურ ტექსტთან ერთად ნემეცურიც იბეჭდებოდეს.

— გერმანიის საკავშირო საბჭოს კომისიებში საბაჟო გადასახადთა კანონ პროექტი უკვე წაიკითხეს ერთხელ და არაფერი ცვლილება არ შეუტანიათ შიგ. 31 ოქტომბერს მეორედ დაიწყებენ კითხვას.

## გ ა კ ვ რ ი თ

დრამატიული კომიტეტის საყურადღებოდ.

მაქვს პატივი მოვახსენო კომიტეტს, რომ ამ დღეებში აღმოვაჩინე დრამატიული მსახიობი ქალი, რომელსაც ძალუძს შეიტანოს „თანხმობა და ჰარმონია დრამატიულის მოქმედების, პოეზიის, მხატვრობის და პლასტიკის შორის“.

ხსენებული ესე აღჭურვილია დრამატიული არტისტის შემდეგი თვისებებით: „ახალგაზრდა, კარგად მოყვანილი, სახის უმანკო გამომეტყველება და ამასთან გრძელი წამწამები, რომელნიც აჩრდილებენ თვალებს“.

მხოლოდ ეს წამწამნი, რომელნიც აჩრდილებენ თვალებს, შ ა ვ ი კი არა, არამედ წაბლის ფერია და ხმაც ცოტა მოუხეშავი და ე რ თ ხ მ ო ვ ა ნ ი. რაც შეეხება წამწამთა შეუფერებლობას დრამატიული არტისტობისათვის, გულს იმითი ვიკეთებ, რომ ჩვენ მსახიობ ქალებმა ჩინებულად იციან გუდალახუსტაკ-შუსტაკის ხელი და იმედი მაქვს, ჩემგან აღმოჩენილ ტალანტსაც ასწავლიან ამ ხელოვნებას, მხოლოდ ერთხმოვან და მოუხეშავ ხმას-კი გუშინდლამდე წამალი ვერ უშოვე. გუშინ-კი ერთ ქართულ გაზეთში ამოვიკითხე, რომ ხმის „მოხნექა-გაფაქიზებისათვის“ უებარი მალამო ყოფილა „მღერის გაკვეთილები“, რომელნიც „გამებისა და ეგზერსისების საშუალებით“ შეაჩვევს კაცს, რათა „თავისუფლად ამოუშვას გულის სიღრმიდგან შფოთებლივ ხარების და ტანჯვის ყვირილი“.*)

თუ დრამატიული საზოგადოების კომიტეტს ჰსურს მიიწვიოს ჩემგან აღმოჩენილი ტალანტი, შეუძლიან პირობაზე მოელაპარაკოს „ცნობის ფურცლის“ № 1616-ის მეთაურ წერილს.

გიო.

*) ბატონო გიო, ნუ დაგავიწყდებათ, რო სიმღერა და გამებ-ეგზერსისებისათვის საჭიროა სმენა. ასოთ-ამწყობი.

# დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

20 ოქტომბერი.

**პეტერბურგი.** 20 ოქტომბერს, იმპერატორ ალექსანდრე III საფლავზე, პეტრე-პავლეს საკრებულო ტაძარში, სასახლის სამღვდელოებამ პანაშვიდი გადაიხადა. პანაშვიდს დაესწრნენ: დიდი მთავარინა ელისაბედ მავრიკის ასული, დიდი მთავარი სერგეი მიხეილის ძე და მეკლენბურგ-სტრელიცკის ჰერცოგები გიორგი გიორგის ძე და მიხეილ გიორგის ძე.

მოსკოვსა, ოდესსა, ჩერნიგოვსა, ნიჟნი-ნოვგოროდსა, ტამბოვსა და გროდნოშიაც გადაუხდიათ პანაშვიდები იმპერატორ ალექსანდრე III სულის მოსახსენებლად.

**ხარკოვი.** მკურნალთა გამომცდელმა კომისიამ 114 კაცს მისცა მკურნალობის მოწმობა. ამათგან 12 კაცი ჯილდოს მიცემის ღირსადა სცნეს; 83-ს მკურნალის ხარისხი მის-

მეს, რომ შვილი სულით-ავადმყოფი ეყოლოს.

Morel-ს მოჰყავს ერთი ამ აზრის დამახასიათებელი შემთხვევა:

ერთს ლოთს 7 შვილი ჰყავდა: ამათგანი ერთი ოცდა-ორის წლისა ჭკუიდგან შეიშალა, მეორე იდიოტი იყო, მესამე წყალ-მანკით მოკვდა, მეოთხე ბავშვივე მოკვდა, მეხუთე ახირებულის ხასიათისა იყო, მეექვსე ისტერიით იყო ავად, მეშვიდეს კი ძლიერ დასუსტებული ნერვები ჰქონდაო.

იმავე წიგნში ვკითხულობთ: ერთს ლოთს 16 შვილიდგან მხოლოდ ერთი-ღა შერჩა და ისიც იდიოტი და ბნედიანიო.

მეცნიერის ლომბროზოს თხზულებაში შემდეგი შემთხვევაა მოყვანილი: ერთის ლოთის მაქს იუკესგან 75 წლის განმავლობაში ამნაირი შთამომავლობა შესდგა: 200 ქურდი და კაცის მკვლელი, 280 ბრმა, ჭლექიანი და იდიოტი, 90 როსკიპი და 300 დღე-ნაკლებიო.

ოთხნი ძმანი, გვარად დიუჩენი, მემკვიდრეობით ლოთები იყვნენ: უფროსმა წყალში თავი დაიხრჩო, მეორემ თავი ჩამოიხრჩო, მესამემ ყელი გამოიჭრა, მეოთხე-კი განგებ გადავარდა მესამე სართულიდგანაო.

შეიძლება მემკვიდრეობა ლოთი დედ-მამისა პირველს შთამომავლობას ასცდეს, მაგრამ შემდეგს-კი უთუოდ გამოაჩნდებაო.

აი შტო ერთის ოჯახისა: დედმამა ორივე ლოთები იყვნენ. ვაჟი ჯან-მრთელი ეყოლათ, მაგრამ უშვილო, ქალიც ჯანმრთელი გათხოვდა ჯანმრთელზედ, რომელთაც მიეცათ: ქალი იდიოტი, ვაჟი გარყვნილი, სულით ავადმყოფი, ჯანმრთელი და დაბადებით ბრმა.

ვინმე R-ს, თვითონ ლოთს, ჯანმრთელ ცოლთანა ჰყავდა: ლოთი ვაჟი, ლოთი ქალი, კაცის მკვლელობის მიდრეკილების ქალი, ჯანმრთელი, გარყვნილი ქალი; ლოთს პირველს ვაჟს მიეცა ქ. როსკიპი, ქ. გარყვნილი, ბნედიანი და ლოთი, ხუთი ჯანმრთელი და ქურდი და ლოთი შვილი. პირველი შვილის-შვილი ვაჟი ტვინის წყალმანკით მოკვდა.

ახლა დავუხატავთ მკითხველს ლოთობით გატეხილ ადამიანის ზნეობრივსა და სულიერს დაცემას: ამ გვარს ადამიანს აკლდება მეხსიერება, ჭკუის გამჭრიახობა, ყოველი გონებრივი მუშაობა უმძიმდება, ხდება ანჩხლი, მუდამ ცუდს გუნებაზეა, იღანძლება, ზნეობრივი მოვალეობა, სვინდისი, პატიოსნური სიყვარული ეკარგება; არ იცის დაპირებული სიტყვის აღსრულება რა არის, უწმაწურს ლაპარაკში, ლანძღვა-გინებაში და ლოთობაში ატარებს დროს. ამასთანავე წარმოიდგინეთ მისი დასისხლიანებული თვალები, გაწითლებული ცხვირი და დასიებული ლოყები და დამეჭმუნებით, რომ ამ გვარი კაცი ადამიანურს შეხედულობასა ჰკარგავს, ყოვლად საზიზღარია.

ამ რიგად ზემოთქმულიდგან ნათლადა სჩანს, რომ თუმცა სპირტის წყალობით სხეულს ემატება სითბო და ნერვებს სიმხურვალე, მაინც ამ გვარი მოქმედება სპირტისა ძლიერ ხან-მოკლეა იმ ვნებასთან შედარებით, რომელიც მას მოაქვს სხეულისათვის; აქედგან ცხადია ყველასათვის, რომ მაგარი სასმელი—ღვინო იქნება, არაყი, თუ სხვა ამ გვარი სასმელი, ფრიად მაწყინარია და ვისაც უნდა სიცოცხლე და ჯანმრთელობა, რიგიანი შთამომავლობა შერჩეს, ღვინოზედ და სხვა ამ გვარს მაგარს სასმელებზედ სრულებით უარი უნდა სთქვას, ან და ზომიერად მაინცა სვას ხოლმე, წინააღმდეგს შემთხვევაში ბუნების კანონები ულმობელნი არიან, არავის რას შეარჩენენ.

შესანიშნავმა კაცებმა, მაგალითად, დემოსფენმა, ლოკკმა, მილტონმა და სხვებმა სრულებით უღვინოდ გაატარეს სიცოცხლე. ძლევამოსილს სამსონს პატარაობიდგანვე აღთქმა ჰქონდა დადებული, რომ თავისს სიცოცხლეში ღვინო არ დაელია. ოდისეიმ ცალ-თვალა დევს პოლიფემს მხოლოდ მაშინ აჯობა, როცა იგი დაათრო. როცა განთქმული მოგზაური ნანსენი რამდენისამე წლით ცივს პოლიარულ ქვეყნების გამოსაკვლევად წავიდა, ერთი წვეთი სპირტი არ წაუღია თანა.

ჩვენს დროშიაც არიან ისეთი თავდაჭერილი კაცები, რომლებიც სპირტიანს სასმელებს სრულებით არა ხმარობენ, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი რიცხვი ჯერ ძლიერ მცირეა.

უმეტესი ნაწილი უფრო იმიტომა ჰსვამს, რომ ასე უსვამს მამა-პაპასა და არ ესმის, რა ვნება მოაქვს სასმელსა; სხვებს კარგად ესმით ღვინის სმის მავნებლობა, მაგრამ იმდენი სულის სიმაგრე აღარა აქვთ, რომ ხელი აიღონ.

არიან ისეთი მსმელებიც, რომლებიც ერთს საათსაც ვეღარა სძლებენ უღვინოდ, რომელთაც აღარავითარი სულიერი ძალა არ შესწევთ, თავი მცირედად მაინც არის შეიმაგრონ. ესენი სულ მთლად ავადმყოფები არიან, რომელთაც საზოგადოებიდგან გამოცალკევება, სიფრთხილით წამლობა სჭირიათ; პირველად ამერიკელმა Rush-მა დაიწყო ქადაგება, რომ ამ გვარ ავადმყოფთათვის ყოველს ქალაქში საავადმყოფოები დაეარსებინათ. ეს მოძრაობა მალე ევროპაშიაც გადმოვიდა და დღეს ინგლისში მრავალი ასეთი საავადმყოფოა, ძლიერ კარგად მოწყობილი. ამ გვარ საავადმყოფოთა დაარსების საქმეში ევროპაში დიდი ღვაწლი მიუძღვის მეცნიერს Forel-ს, რომლის მეცადინეობითაც შვეიცარიაში რამდენიმე მშვენივრად მოწყობილი სამკურნალო დაარსდა და მათ შორის შესანიშნავი „Ellikon“-ი. როგორც ამ სამკურნალოს ანგარიშიდგანა სჩანს, 30% აქ ნაწამლ ლოთებისა სრულიად მორჩენილა, სმაზედ ხელი აუღიათ.

რამდენიმე ამ გვარი სამკურნალო ამ ბოლოს დროს რუსეთშიაც დაარსდა.

მკურნალი ბადრიძე.

ცეს; გარეშეთაგან 18-მა დაიჭირა ეგზამენი, ამათში 12 ქალი იყო საზღვარ-გარეთელ უნივერსიტეტებში სწავლა-დამთავრებული; 45 ებრაელმაც დაამთავრა სწავლა.

**ვენა**. დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე 18 ოქტომბერს ბუდა-პეშტიდამ მოვიდა და პირდაპირ რუსეთის საელჩოსაკენ გაემართა. შემდეგ დიდი მთავარი მე-26 ქვეითა რაზმის კაზარმებში წავიდა. დიდი მთავარი ამ რაზმის შეფადაა დანიშნული. კაზარმიდგან დიდი მთავარი საბერძნეთის მეფის სანახავად წავიდა და იქიდგან ისევ რუსეთის საელჩოში დაბრუნდა. საღამოს 7 საათზე რუსეთის საელჩოში სადილი გამართეს. სადილს დაესწრნენ: რუსეთის საელჩოსა და საკონსულოს მოსამსახურეები, ავსტრიის სამხედრო მინისტრი კრიგგამერი, უმთავრეს შტაბის უფროსი ბეკი, მე-26 რაზმის ოფიცრები და დიდი მთავრის ამალა. საღამოს 9 ს. და 30 წ. მისი უმაღლესობა დრეზდენში წავიდა.

**ლონდონი**. კიტჩენერი დეპეშით იუწყება პრეტორიიდგან 19 ოქტომბრის რიცხვით: „ეს არის ეხლა გავიგე, რომ პოლკოვნიკ ბენსონის რაზმის უკანა ჯარს, ბეტელის ჩრდილოეთ-დასავლეთით ბურები დაესხმიან. დიდის ნისლის გამო ბურებმა, რიცხვით 1000 კაცმა, ჯარს წაართვეს ორივე ზარბაზანი, მაგრამ არ ვიცი, მოასწრეს ამ ზარბაზნების წაღება, თუ არა. ვფიქრობ, რომ ზარალი დიდი მოგვივიდა. ბენსონი ჭრილობისაგან გარდაიცვალა. მაშველი ჯარი გავგზავნე; ეს ჯარი დღეს დილით მივა ბენსონის რაზმთან.“

**ლონდონი**. კიტჩენერის მეორე დეპეშა 19 ოკტომბრის რიცხვითვე: „პოლკოვნიკი ბარტერი დღეს დილით ადრე ბენსონის ჯარს შეუერთდა. ბურებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. ბარტერი მატყობინებს: ბენსონს გარდა ბურებს 8 ოფიცერი კიდევ მოუკლავთ და 13 დაუჭრიათ; თითქმის ყველანი მძიმედ არიან დაჭრილნი; 58 ჯარის-კაცი მოუკლავთ და 166 დაუჭრიათ. მგონია, რომ ორივე ზარბაზანი უკანვე დაუბრუნებიათ და ბურებს უკან დაუხევნიათ. ბარტერი მატყობინებს, რომ ბურები ძლიერ ახლო მოვიდნენ მოწინავე ჯართან, ორივე მხარე, ინგლისელებიც და ბურებიც, დიდის თავგანწირვით იბრძოდნენ. ბურები აღმოსავლეთისაკენ წავიდნენ.“

**პარიჟი**. იმპერატორის ალექსანდრე III გარდაცვალების დღეს რუსეთის საელჩოს ეკკლესიაში წირვა და პანაშვიდი გადაიხადეს.

**პარიჟი**. გაზეთები სულ სხვა-დასხვა აზრს გამოსთქვამენ იმის შესახებ, თუ ოსმალეთის ზღვის რომელ ადგილს უნდა მოახდინოს ფლოტმა დემონსტრაცია. „ეხო და პარი“ ამბობს: იონიის ერთ-ერთ კუნძულ დაიჭერენო.

**პეკინი**. ევროპიელმა ექიმებმა გამოაცხადეს, რომ ლიხუნგჩანგი მეტად შეწუხებულია ავადმყოფობისაგანაო; ორი დღეა, რაც ფილტვებიდგან სისხლი სდისო.

**პარიჟი**. დელკასე დღეს დილით ლუბესა და ვალდეკ-რუსსოს ელაპარაკა და საფრანგეთ-ოსმალეთის საქმე დაწვრილებით აუხსნა. ლანნესანიც დილით ვალდეკ-რუსსოს ეთათბირა. კონსტანტინეპოლიდგან დეპეშა მოვიდა. დეპეშაში სწერია, რომ საფრანგეთმა საზღვაო დივიზიაც რომ გამოგზავნოს ოსმალეთის ზღვაში, ისიც კი საკმარისი იქნებაო: ოსმალეთი გაიგებს, რომ მოლაპარაკების დრო გათავდა. საფრანგეთის მთავრობას მტკიცედ გადაუწყვეტია ოსმალეთს ძალა დაატანოს და თავისი პირობები შეასრულებინოს. ოსმალეთის მთავრობამ, გაიგო თუ არა, რომ საფრანგეთი გემებს ჰგზავნისო, მაშინვე დეპეშით შეატყობინა დელკასეს: ლორანდოს მოთხოვნილებაც იმნაირადვე შევასრულეთ, როგორც წინად ტუბინის მოთხოვნილება იყო შესრულებულიო. ამბობენ, ხონთქარმა ბძანება გამოსცა, ლორანდოს იმდენი ფული უნდა მიეცეს, რამდენსაც საფრანგეთი ანგარიშობსო. ეხლა ის-ღა აკლია, რომ ოსმალეთმა ამ ვალის გადახდა უზრუნველ ჰყოს. მაგრამ ამ ჟამად კალიარის დივიზია გზაშია და საფრანგეთის მთავრობა უკან არ დააბრუნებს, თუ ოსმალეთმა ცალიერ დაპირების გარდა კიდე სხვანაირადაც არ დააკმაყოფილა საფრანგეთი, მით უმეტეს, რომ ოსმალეთი იშვიათად ასრულებს თავის დაპირებას, ამასთან ლორანდოს საქმის გარდა საფრანგეთს კიდევ სხვა ბევრი საქმე აქვს ოსმალეთთან. ამბობენ, მთავრობა ისარგებლებს ამ დროთი, სანამ საფრანგეთის ესკადრა ოსმალეთის ზღვაში იდგება და ოსმალეთის წყლის სანაპიროებისა და ლორანდოს საქმეს მოაწყობსო. რასაკვირველია, აღმოსავლეთის საქმეზე და რაიმე ადგილების ჩამორთმევაზე აქ ლაპარაკიც კი არ შეიძლება. საფრანგეთს მხოლოდ ის სწადიან, რომ ოსმალეთი მისი უფლებისა და ღირსების წინააღმდეგ არ იქცეოდეს ისე, როგორც, მაგალითად, მაშინ მოიქცა, როცა სადიპლომატიო წერილების ყუთი გახსნა.

**ჰააგა**. ფიშერი, ვოლმარანსი, და ვესელსი ვოლშოტთან ერთად დღეს წავიდნენ სილვერსენში, სადაც გუშინდელს აქეთ ლეიდსი იმყოფება; დღეს კრიუგერთან ითათბირეს.

21 ოქტომბერი

**პარიჟი**. სულთანი დეპეშით დაჰპირდა საფრანგეთის მთავრობას, აასრულოს საფრანგეთის ყველა მოთხოვნილება, რათა ამით უკანვე დააბრუნებინოს საფრანგეთს ოსმალეთისაკენ გაგზავნილი ფლოტი. საფრანგეთის ესკადრა თავის გზას განაგრძობს. საფრანგეთ-ოსმალეთის კონფლიკტს საფრანგეთის მთავრობა საერთა-შორისო უფლების დარღვევად სთვლის ოსმალეთის მხრივ. რესპუბლიკის მთავრობა, გარდა საფინანსო დაკმაყოფილებისა, მოითხოვს ოსმალეთისაგან ზნეობრივ დაკმაყოფილებას და ამასთანავე გარანტიას, რომ შემდეგში ოსმალეთის მთავრობამ აღარ დაარღვიოს არსებული კანონები. სხვას არაფერს არ მოსთხოვს საფრანგეთი ოსმალეთს.

**ხრისტიანია**. გაზეთ „ავტენპოსტენ“-ის სიტყვით, მზადდება ახალი ექსპედიცია ჩრდილოეთის სამეცნიერო გამოკვლევისათვის. ექსპედეციის სათავეში დადგება ფლოტის ოფიცრად ნამყოფი ამუნდსენი.

**ლონდონი**. სამხედრო სამინისტრო აცხადებს, რომ ბერლეპლაგტესთან (ბერკენლააგეტესთან?) მომხდარ ბრძოლის დროს კიდევ ორი ოფიცერი იქმნა მოკლული; გარდა ამისა, ერთი დაჭრილი ოფიცერი გარდაიცვალა და ორიც სხვა ოფიცერი დაჭრილიაო.

**ლონდონი**. პარიჟიდგან იუწყებიან, რომ ოსმალეთის საელჩოს მდივანი დილას დელკასესთან იყო და ოფიციალურად გამოუცხადა, რომ სულთანი დაუყოვნებლივ დააკმაყოფილებს ლორანდოს მოთხოვნილებას და სხვასაც, თუ საფრანგეთი უკანვე დააბრუნებს ესკადრასო. მაშინ დელკასემ წინადადება მისცა საელჩოს წევრს ბაპსტს დაეკითხოს სულთანს იმის შესახებ, თუ რა გარანტიებს იძლევა ოსმალეთის მთავრობა იმისას, რომ დანაპირს აასრულებს. ამ სადაო საქმის დასრულება ეხლა სულთანისაგან არის დამოკიდებული. ნაკლები იმედი აქვთ იმისა, რომ სულთანი დროზე დააკმაყოფილებს დელკასეს და ამიტომ უკანასკნელი ველარ მოასწრებს დააბრუნოს ინსტრუქციები, რომელიც ადმირალს კალიარს მიეცა.

**ხერსონი**. ანანიევის მაზრის სოფელ სტავროვის მახლობლად, ღრმა ხრამში, იპოვეს უზარმაზარის მხეცის ჩონჩხი. კბილი, ყბის ნაწილი და ძვლის ნამტვრევები წარედგინა ხერსონის საარქეოლოგიო მუზეუმს.

22 ოქტომბერი

**პეტერბურგი**. 21 ოქტომბერს ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული უავგუსტოესის შვილებით სპალნიდამ სკერნევეტში მობრძანდნენ, სადაც იმათთან ერთად მობრძანდა ტახტის მემკვიდრეც.

20 ოქტომბერს პრინცი ჰენრიხი და პრინცესსა ირენა პრუსიისა სპალიდამ ბერლინს წაბრძანდნენ. ხელმწიფე იმპერატორმა, ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა და ტახტის მემკვიდრემ მათი უმაღლესობანი სადგურს ოლენამდე გააცილეს.

21 ოქტომბერს, ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოზ ალექსანდრის ძის ტახტზე ასვლის დღეს სატახტო ქალაქი მოიკაზმა ბაირაღებით; ეკკლესიებში პარაკლისი გადაიხადეს; განსაკუთრებით დღესასწაულის ხასიათი ჰქონდა ამ დღეს ისააკის საკრებულო ტაძარს; აქ იყვნენ სხვათა შორის ჰერცოგები გეორგი გეორგის ძე და მიხეილ გიორგის ძე მეკლენბურგ-სტრელეცეები.

მოსკოვს, კოვნოს, ოდესსას, ვიტებსკს, ჩერნიგოვს და ნოვგოროდს სადღესასწაულო წირვა გადაუხდიათ ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელოდ.

**მოსკოვი**. 21 ოქტომბერს იდღესასწაულეს 35 წლის იუბილეი ცნობილის პედაგოგის ტიხომიროვისა.

**როსტოვი**. ვაჭრობისა და გემებით მიმოსვლის რუსეთის საზოგადოების მოვალეობაზე მუდამ 10,000 მან. საქონელი მოუპარავთ.

**ვარშავა**. ადგილობრივი გაზეთების სიტყვით, ინგლისის ერთს აგენტს ერთ-ერთ იქაურს სავაჭრო სახლთან ხელ-შეკრულება დაუდვია, რომ ინგლისის ჯარისათვის წლინახევრის განმავლობაში 20,000 ცხენი იქმნას დამზადებულზ.

**პერმი**. გაიხსნა სავაჭრო სასწავლებელი ნოქართა ურთიერთის დამხმარებელ საზოგადოებისა.

**სევასტოპოლი**. კონსტანტინეპოლის გემი თეოდორიის კარანტინმა შეაჩერა. სასტუმროებში მოწერილობა მიიღეს დაუყოვნებლივ აცნობონ პოლიციას, თუ მოვიდა ვინმე კონსტანტინეპოლიდამ ან ბათუმიდამ.

**ხარკოვი**. პოლიციამ სოფელს ნოვო-ივანოვსკში მიაგნო ყალბი ოქროს და ვერცხლის ფულის მჭრელს, გლეხს, რომელსაც ორი ამხანაგი ჰყოლია.

**პარიზი**. ნიკოლოოზ II ტახტზე ასვლის სამახსოვროდ სადღესასწაულო წირვა გადიხადეს რუსეთის საელჩოს ეკკლესიაში.

— ამბობენ რომ საფრანგეთი და გაგზავნილი ესკადსა ლუზას მიტილენის კუნძულზე, ნავის საყუდელს კალლონიში ჩააგდებსო. თუ ამ კუნძულის დაჭერა საკმარისი არ იქმნება, კალიარი სმირაშიაც დაიჭერს. ჰფიქრობენ. რომ მოქმედება სწრაფად მოხდება. იტალიის ესკადრა ოსმალეთისკენ წასულა.

**კოპენჰაგენი**. საბერძნეთის მეფის შვილი გიორგი დილით გიეძერზე ათონში წავიდა. გზაზე საბერძნეთის მეფეს შეეყრება, და იმასთან ერთად იმგზავრებს.

**ნიუკესტლი**. (კაპის ახალშენი) მიიღეს ცნობა, რომ ქრისტიან ბოტა, გენერალ ბოტას ბიძაშვილი ბურების ერთი უფროსისთაგანი ფოლკსრუსტში ტყვედ მოჰყოლია. ბოტა წინად ნატალის სამმართველოში მსახურებდა და ომის დაწყების შემდეგ ერთს რაზმს ჰსარდლობს.

**პრეტორია**. იმ ბურების უფროსი, რომელიც ბენსონის რაზმს დაატყდა თავს, ლუი ბოტა ყოფილა; ეხლა ის იმ რაზმს შეუერთდა, რომელიც ამას წინად ბეტელის მახლობლად ჰმოქმედობდა.

**ბრიუსელი**. პრინცის ალიბრეხტის მეუღლეს შვილი ეყოლა, რომელსაც ლეოპოლდი დაარქვეს.

20 ოქტომბერს, რუსეთის საელჩოს ეკკლესიაში იმპერატორის ალექსანდრ III გადაცვალების დღეს პანაშვიდი გადიხადეს; 21 ოქტომბერს ნიკოლოოზ II ტახტზე ასვლის დღეს გადახდილ იქმნა წირვა, რომელსაც ადგილობრივი რუსეთის კოლონიის მცხოვრებნი დაესწრნენ.

**პეკინი**. მისსიონერია წრეებიდამ იუწყებიან, ვითომც ქვრივს იმპერატრიცის მოკვლა განეძრახოთ იმ დროს, როდესაც ის ხონანფოს გზაზე მდინარეზე გადასვლას აპირებდა. ბოროტ-გამძრახველს, შურით გზის მაჩვენებელი მოუკლავს; იმპერატრიცას არაფერი არ დაჰშავებია. დამნაშავე მოკლულია.

## ყოველ-დღიური საჭირო ცნობები

—

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით)

**მატარებელი მიდის ტფილისიდგან ბათუმში:**

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.), ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 26 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

**ტფილისიდგან ბორჯომში:**

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. (2 ს 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

**ტფილისიდგან ბაქოში:**

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, პარასკევობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 50 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 9 ს. 36 წ. (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

**ტფილისიდგან ყარსში:**

ფოსტის მატარებელი № 58, 59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ,) ყარსში ჩადის დღით 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.).

**ბათუმიდგან ტფილისში:**

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 45 წ. (11 ს. 43 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ. (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

**ბაქოდგან ტფილისში:**

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს. 39 წ.) ტფილისში ჩამოდის დღის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 ღამის 12 ს. 2 წ. (1 ს.) ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 3 ს. 35 წ. (4 ს. 33 წ.) ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ბორჯომიდგან ტფილისში:**

სამგზავრო მატარებელი № 66 ღამის 1 ს. 50 წ. (2 ს. 48 წ.), ტფილისში შამოდის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

**ყარსიდგან ტფილისში:**

ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს 47 წ. (7 ს. 45 წ.)


# განცხადება

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 24 ოქტომბერს, შუადღის თორმეტ საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით **მოხდება საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც გაიცემა ქალაქის მე-4 ნაწილში კოსოის ვიწრო ქუჩის მოკირწყლის საქმე. სიგრძით ქუჩა 113,36 ოთხ-კუთხი საჟენია. იჯარა 700 მანეთისაა.

მსურველთ პირობანი შეუძლიანთ გასინჯონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე 9-დან 3 საათამდე. (3—6.—1)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 22-го Октября 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118. რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე**.